



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-11/6

11 თებერვალი 2014 წ.

ქ. თბილისი

**„რეკლამისა და საცალო რეალიზაციის მიზნით პირველი და მესამე
ჯგუფისათვის მიკუთვნიებული ფარმაცევტული პროდუქტების ნუსხის
განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის 2009 წლის 13 ოქტომბრის N331/ნ ბრძანებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,
ვბრძანებ:

მუხლი 1

„რეკლამისა და საცალო რეალიზაციის მიზნით პირველი და მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნიებული ფარმაცევტული პროდუქტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 13 ოქტომბრის N331/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; სსმ, 124, 13/10/2009; 470.230.000.22.035.013.656) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტები;“.

2. ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 11² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, III ჯგუფს მიკუთვნიებულ ფარმაცევტულ პროდუქტად აგრეთვე განისაზღვროს ისეთი ფარმაცევტული პროდუქტი, რომელიც თავისი გენერიკული დასახელების, ფორმისა და დოზის მიხედვით დანართ N1-ში III ჯგუფს მიკუთვნიებული რომელიმე ფარმაცევტულ პროდუქტის ანალოგიურია, თუმცა აქვს სხვა სავაჭრო დასახელება. ასეთი ტიპის ფარმაცევტული პროდუქტის დადგენა ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ (შემდგომში - სააგენტო) მიერ, რომელიც ავტომატურად უზრუნველყოფს ინფორმაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებას – ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად.“.

3. ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. III ჯგუფს მიკუთვნებულ ფარმაცევტულ პროდუქტად ასევე განისაზღვროს ისეთი ფარმაცევტული პროდუქტი, რომლის მოხმარებაც ფარმაცევტული პროდუქტის ინსტრუქციის შესაბამისად დასაშვებია ექიმის დანიშნულების გარეშე. ამ შემთხვევაში, სააგენტო, ასეთი პროდუქტის საქართველოს ბაზარზე დაშვებისათვის ადმინისტრაციული პროცედურის დასრულების შემდეგ, ავტომატურად უზრუნველყოფს ინფორმაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებას – ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად.“.

4. ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.


მუხლი 2

დაევალოს სააგენტოს, საქართველოს ფარმაცევტული პროდუქტების უწყებრივ რეესტრში შეიტანოს ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად N1 დანართით გათვალისწინებული, ფარმაცევტული პროდუქტის III ჯგუფს მიკუთვნებასთან დაკავშირებული, განახლებული ინფორმაცია.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი



დიმიტრი მახათაძე